სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის

რიგგარეშე სხდომის ოქმი N2

თბილისი, 7 თებერვალი 2022 წ.

2022 წლის 07 თებერვალს, სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (მის. ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. N3) გაიმართა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ:

- **დავით ლორთქიფანიძე** - სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი;
- **ნიკა ახალბედაშვილი** - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (შემდგომში - მუზეუმთა ჯგუფი) დირექტორი;
- **ნინო ჭიპაშვილი** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი;
- **ნინო სალუქვაძე** - ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი;
- **ზვიად კვიციანი** - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი;
- **ანა თოლორაია** - მუზეუმთა ჯგუფის ადმინისტრაციის განყოფილების უფროსი.

განსახილველი საკითხები:

I. დირექტორატის სხდომის მდივნის არჩევა.

II. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:

- კომპიუტერული სისტემების, ვიდეო-სამეთვალყურეო, დაცვის სისტემების, კვების ბლოკის ე.წ. იუპიესის გამართულად მუშაობის საკითხი და მუზეუმის ზონალურ ობიექტებზე გარე განათების, სიგნალიზაციის, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება;
- საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცება;
- მუზეუმის შესასვლელში ბილეთების სალაროს განთავსებისა და ბილეთების ფასში ცვლილებების საკითხი;
- სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, უშგულის ფილიალის ფონდების შენობის გადახურვის საკითხი;
- მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის ინვენტარიზაციის საკითხი;
- ბიბლიოთეკის სამეცნიერო ნაშრომებით შევსება;
- სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საწვავის ლიმიტის ზრდა.

III. მუზეუმთა ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:

- ხელფასების ზრდა მუზეუმთა ჯგუფში და ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება;
- ყოფილი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შენობის ხელოვნების მუზეუმისათვის გადმოცემის საკითხის განხილვა.

IV. ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მიერ, დირექტორატის გვერდის ავლით, შოთა რუსთაველის ფონდში შეტანილი 13 გრანტის საკითხის განხილვა და დირექტორატის მიერ

გრანტის თანხების 18 თებერვლამდე გამოთხოვის მიზანშეწონილობის შეფასება სსიპ-ის დებულებით გათალისწინებული წესების შესაბამისად;

V. სსიპ-ის უფროსის მოადგილეების დანიშვნის საკითხის განხილვა 2022 წლის 01 თებერვალს სსიპ-ის დებულებაში შესული ცვლილებების შესაბამისად;

VI. მიმდინარე წლის 4 თებერვალს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2018 - 2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

VII. ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის სამსახურებრივი მანქანის გამოყოფა.

მოისმინეს:

I საკითხი - დირექტორატის სხდომის მდივნის დამტკიცება

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის მდივნად დაასახელა მუზეუმთა ჯგუფის საგამოფენო განყოფილების ზედამხედველის ხატია ღიბრაძის კანდიდატურა, რომელსაც დირექტორატის წევრებმა დაუჭირეს მხარი.

II საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის კომპიუტერული სისტემების, ვიდეო-სამეთვალყურეო, დაცვის სისტემების, კვების ბლოკის ე.წ. იუპიესის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და მუზეუმის ზონალურ ობიექტებზე გარე განათების, სიგნალიზაციის, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება

ზ.კვიციანმა განაცხადა, რომ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმს სასწრაფოდ ესაჭიროება განსკუთრებული ყურადღება და პრობლემების გადაჭრა. პირველ რიგში, მისახედია მწყობრიდან გამოსული კამერები, სიგნალიზაცია, კვების ბლოკები და გარე განათება. ასევე მისი განცხადებით, სვანეთში არის 9 უბანი, სადაც ინახება სიწმინდეები და ძვირფასეულობა, რომლებსაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ დაცვა, რის არქონის შემთხვევაშიც იქმნება სერიოზული საფრთხე.

ნ. ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ეს საქმე დაევალოს IT სამსახურის უფროსს ი.ლომსაძეს, თავად ჩავიდეს აღნიშნულ ადგილზე, გაეცნოს ვითარებას და შეადგინოს დოკუმენტი თუ რა არის გასაკეთებელი/შესაძენი, ხოლო საფინანსო სამსახურმა სოფო მიქაძემ განახორციელოს შემდგომი შესყიდვის პროცედურები.

ნ. ჭიპაშვილმაც აღნიშნა, რომ ანალოგიური პრობლემა არის მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმში. მისი მოხსენებითი ბარათი აწერია შესყიდვების სამსახურში ნ. ჯაშიაშვილს და ითხოვა საკითხის დაჩქარება.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო დაცვის პოლიციასთან კოორდინაციითა და შეთანხმებით.

ნ. ახალბედაშვილმა დასძინა, რომ მოცემული საკითხების გადაჭრა უნდა დაიწყოს, მოძიებული უნდა იქნეს შესაბამისი თანხები და შესრულება დაევალოს შესაბამის სტრუქტურებს.

დისკუსიის შედეგად, დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მოცემული საკითხი და გამოჰყვეს მის <u>**შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები**</u>: IT სამსახურის უფროსი - <u>**ირაკლი ლომსაძე**</u> და საფინანსო სამსახურის უფროსი - <u>**სოფო მიქაძე.**</u>

III საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცება; სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმში გამოცხადებული ტენდერების ეკონომიის შედეგად დარჩენილი თანხების განაწილება

ზ. კვიციანმა წარმოადგინა განახლებული საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც, შტატში დასაქმებული ტექნიკური ფუნქციების მქონე დასაქმებულები მუშაობას გააგრძელებენ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულის სტატუსით, ხოლო გამოთავისუფლებული საშტატო ერთეულები და შესაბამისი თანხები მოხმარდება დირექტორის მოადგილის, რესტავრატორის, მეცნიერ-თანამშრომლის, მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, კურატორის, უფროსი სპეციალისტის, სპეციალისტის, ასისენტის (ბიბლიოთეკარი) პოზიციების შექმნას. შტატგარეშე თანამშრომელთა დასაქმების უზრუნველსაყოფად ესაჭიროება არსებული დამტკიცებული ლიმიტის 6 ერთეულით ზრდა, რასთან დაკავშირებითაც:

- **ნ. ახალბედაშვილმა** გამოთქვა მზაობა, მუზეუმთა ჯგუფისათვის დამტკიცებული ლიმიტიდან 1 ერთეული დაუთმოს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს;
- **ნ. ჭიპაშვილმა** კი, ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, გამოხატა მზაობა ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის დამტკიცებული ლიმიტიდან 5 ერთულის დათმობის შესახებ.

გარდა ამისა, **ზ.კვიციანმა** განაცხადა, რომ გეგმავდა სახელფასო ფონდის მატებას, გარდა დირექტორის ხელფასისა. კერძოდ, წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიზედვით, ხელფასი გაეზრდება: ჯგუფის უფროსს - 200 ლარით; ასისტენტ კურატორს - 100 ლარით; უსაფრთხოების ოფიცერს - 100 ლარით, ზედამხედველებს - 100 ლარით. წარმოდგენილი საშტატო განრიგის მხარდაჭერის შემთხვევაში, წარმოიქმნებოდა დეფიციტი 48 960 ლარის ოდენობით, რის დასაფინანსებლადაც მესტიის მუზეუმი მიმართავდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), ხოლო შტატგარეშე თანამშრომლის სახელფასო ფონდის ზრდისთვის საჭირო რესურსი უნდა გამოძებნილიყო სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

ნ. ახალბედაშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტში არსებობდა 60 000 ლარის ტენდერის ეკონომიები, რაზეც შემდგომში ისაუბრებდა. გარდა ამისა, ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტში შესაძლებელი იყო კიდევ დამატებით 74 000 ლარის გამოძებნა. კერძოდ, დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები, მუხლი - „საქონელი და მომსახურება“: 40 000 ლარი (20 000 ლარი მიმდინარე რემონტი, 20 000 ლარი ტრანსპორტის ხარჯი); დაფინანსების წყარო - საბიუჯეტო ასიგნებები, მუხლი - არაფინანსური აქტივები: 14 ათასი ლარი; მუხლი - საქონელი და მომსახურება 20 000 ლარი (5000 ლარი საწვავ-საპოხი მასალების შეძენა, 3 000 ლარი ბანკის პროცენტი, საგამოფენო განათების განახლება 7000 ლარი, მივლინების ხარჯი 5000 ლარი). ასევე, **ნ. ახალბედაშვილმა** დასძინა, რომ ვინაიდან ნ. სალუქვაძის მიერ დირექტორატის წევრებისთვის წარდგენილი ერთ-ერთი საკითხია სპორტის მუზეუმის შტატგარეშე დასაქმებულებისთვის ხელფასის გამოყოფა, მის მიერ ბიუჯეტში ამრიგად გამოძებნილი სახსრები - 74 000 ლარი - გადანაწილებულიყო სვანეთისა და სპორტის მუზეუმებზე: სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიუჯეტის ასიგნება გაიზარდოს 59 520 ლარის ოდენობით მუხლში საქონელი და მომსახურება, ხოლო სპორტის მუზეუმის დამტკიცებული ბიუჯეტი 14 480 ლარით.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის მიერ წარმოდგენილი ახალი საშტატო განრიგი **(იხ. დანართი 1-2)** იმ დათქმით, რომ საშტატო პოზიციებზე გათვალისწინებული დასაქმებულებისთვის თანამდებობრივი სარგოს მატებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გამოყოფის თაობაზე **ზ. კვიციანი** შუამდგომლობით მიმართავს სამინისტროს, ხოლო შტატგარეშე დასაქმებულების სარგოს მატებისთვის საჭირო რესურსს სვანეთის მუზეუმი მიიღებს ეროვნული მუზეუმის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან, როგორც ეს არის ზევით აღწერილი.

დამტკიცებული საკითხის შესრულებაზე **პასუხისმგებელ პირად** განისაზღვრა **სოფო მიქაძე** - საფინანსო სამსახურის უფროსი.

ნ. ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ საბიუჯეტო ასიგნებებით გამოცხადებული ტენდერების (დასუფთავებისა და შენობა-ნაგებობის ტექნიკური მომსახურების შესყიდვა) ეკონომიებმა დაახლოებით 60 000 ლარი შეადგინა. ვინაიდან, საქართველოს მთავრობის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული ფინანსური რესურსის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნებისათვის, დირექტორატის წევრების წინაშე აყენებდა საკთხს, რომ 2022 წლის პირველი კვარტლის დასრულებისთანავე, მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობა გამოსცემდა შესაბამის სამართლებრივ აქტს, აღნიშნული ეკონომიები სრულად ყოფილიყო მიმართული მუზეუმთა ჯგუფის ქვეპროგრამაში, ხელოვნების მუზეუმის ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად.

დირექტორატის წევრებმა მხარი დაუჭირეს მოცემული საკითხს, რომლის შესრულებაზე **პასუხისმგებელ პირებად** განისაზღვრნენ საფინანსო სამსახურიდან **ს. მიქაძე** და შესყიდვების განყოფილებიდან **ნ. ჯაშიაშვილი**.

IV საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შესასვლელში ბილეთების სალაროს განთავსებისა და ბილეთების ფასში ცვლილებების საკითხი

ზ. კვიციანის განცხადებით, დამთვალიერებელი მუზეუმში შედის ბილეთის ყიდვის გარეშე, ვინაიდან სალარო დგას არა შენობის შესასვლელში, არამედ მეორე სართულზე.

დ. ლორთქიფანიძემ განმარტა, რომ სალაროს მეორე სართულზე განთავსება მიზანმიმართულად მოხდა, რადგან დამთვალიერებელს შესძლებოდა უფასოდ ესარგებლა მესტიის მუზეუმის არასაგამოფენო, საერთო მოხმარების სივრცეებით, დაელია ყავა, ეყიდა წიგნი ან ესარგებლა ინტერნეტით, მით უმეტეს მაშინ, როცა მესტიაში მუზეუმის გახსნისას დასახლებულ პუნქტში ინტერნეტის მიწოდების სიხშირე იყო დაბალი. თუმცა, თუ ახლა კონცეფციის შეცვლაზე იყო საუბარი, ის არ იქნებოდა წინააღმდეგი, სალარო შენობის შესასვლელში დადგმულიყო.

ზ. კვიციანმა დირექტორატის წევრებს განუცხადა, რომ შემოსავლების მატების მიზნით, მიზანშეწონილად თვლიდა, ცვლილება შესულიყო გენდირექტორის 2019 წლის 3 მაისის N 791 ბრძანებაში და მესტიის მუზეუმში ვიზიტორთა შესვლისთვის ბილეთის საფასური განსაზღვრულიყო 5 ლარით, ნაცვლად 1 ლარისა.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს სალაროს პირველ სართულზე განთავსების საკითხი, რომლის პროექტის წარმოდგენის **პასუხისმგებელ პირად** განისაზღვრა **ზვიად კვიციანი**.

დირექტორატის წევრებმა ასევე დაამტკიცეს მესტიის მუზეუმში ვიზიტორთა ბილეთის საფასურის ცვლილება. აღნიშნული საკითხის შესრულებაზე **პასუხისმგებელ პირებად** განისაზღვრნენ იურიდიული სამსახურიდან **მაია ბაკურაძე** და საფინანსო სამსახურიდან **სოფო მიქაძე**.

V საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, უშგულის ფილიალის ფონდების შენობის გადახურვის საკითხი

ზ. კვიციანმა დირექტორატის წევრებს მიმართა და ითხოვა დახმარება, რომ სასწრაფო და გადაუდებელი საკითხი იყო უშგულის კოშკების, მათ შორის უშგულის მუზეუმის კოშკის, გადახურვა, ასევე დასძინა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მაისის თვეში სამინისტროდან სპეციალური ჯგუფიც იყო ჩასული საკითხის შესასწავლად და მისი ინფორმაციით ჯგუფმაც საგანგაშოდ შეაფასა კოშკების მდგომარეობა.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან უშგულის კოშკები იყო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი, მოცემულ პრობლემის გადაჭრაც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს პროგატივას წარმოადგენდა.

ზ. კვიციანმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა ეს ინფორმაცია და მიიღო ცნობად.

დირექტორატის წევრებს მე-5 საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ვინაიდან, დირექტორატის წევრის დ. ლორთქიფანიძის განცხადებით, აღნიშნული საკითხი სცილდებოდა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის კომპეტენციას.

VI საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების ინვენტარიზაციის საკითხი

ზ. კვიციანმა მიმართა დირექტორატის წევრებს, რომ 4 თვიანი ვადა ჰქონდა აღებული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის ინვენტარიზაცია/პასორტიზაციისთვის, რომლის სრულყოფილად წარმართვისთვის ესაჭიროებოდა დამატებით ადამიანური რესურსის გამოყოფა თბილისიდან.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მზად იყო სვანეთის მუზეუმს დახმარებოდა ადამიანური რესურსით, თუმცა დაამატა, რომ 4 თვე ალბათ არ იქნებოდა საკმარისი სამუშაოების დასასრულებლად.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მე-6 საკითხი და შეთანხმდნენ, რომ დ. ლორთქიფანიძე მხარს დაუჭერდა მესტიაში ინვენტარიზაციის პროცესს და გააგზავნიდა სპეციალისტებს ფონდის აღწერაში მონაწილეობის მისაღებად.

VII საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნება

ზ.კვიციანმა მიმართა დირექტორატის წევრებს, რომ მუზეუმის ბიბლიოთეკა საჭიროებდა გამრავალფეროვნებას და თუკი ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკაში არსებობდა ერთიდაიმავე წიგნების რამდენიმე ეგზემპლარი, მოხარული იქნებოდა, მესტიაში გაგზავნილიყო ეს წიგნები.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა რომ რამდენიმე ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში წიგნები იგზავნებოდა რეგიონულ მუზეუმებში და მზად იყო, დახმარებოდა სვანეთის მუზეუმს, თუკი რაიმე წიგნი აკლდა ბიბლიოთეკას.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მე-7 საკითხი და შეთანხმდნენ რომ დ.ლორთქიფანიძე პირადად იზრუნებდა სვანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე და, ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რამდენიმე ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში, მათ გააგზავნიდა მესტიაში.

VIII საკითხი - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საწვავის ლიმიტების ზრდა

ზ.კვიციანმა მიმართა დირექტორატის წევრებს, რომ სამინისტრომ მესტიის მუზეუმისთვის შეიძინა ახალი მანქანა და მისთვის ესაჭიროებოდა საწვავის ლიმიტი 200 ლიტრი თვეში.

ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ ეროვნულ მუზეუმს არსებული ავტოპარკისთვის დამტკიცებული აქვს 3340 ლიტრის ლიმიტი თვეში, საიდანაც არსებულ ავტომობილებზე ლიმიტების დაკორექტირების საფუძველზე მომხდარიყო სვანეთის მუზეუმის მანქანისთვის 200 ლარიანი თვიური ლიმიტის გამოყოფა.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მე-8 საკითხი, რომლის შესრულებაზე **<u>პასუხისმგებელ პირად</u>** განსაზღვრეს საფინანსო სამსახურის უფროსი **<u>სოფო მიქაძე</u>**.

შენიშვნა: ზ. კვიციანმა სხდომაზე განაცხადა, რომ დაგეგმილი აქვს მესტიის მუზეუმში წმ. ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება. თუმცა, რაკი კონკრეტული კონცეფცია და ხარჯთაღრიცხვა არ ყოფილა წარმოდგენილი, დირექტორატს მოცემულ საკითხზე დამატებით არ უმსჯელია და გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

IX საკითხი - ხელფასების ზრდა მუზეუმთა ჯგუფში და ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის წევრებს წარუდგინა მუზეუმთა ჯგუფში ხელფასების მატების გეგმა, რომლის მიხედვითაც, ანაზღაურება ეზრდებოდათ შტატით გათვალისწინებულ პოზიციებზე: დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს, ადმინისტრაციის განყოფილების უფროსს, უფროს მეცნიერ-თანამშრომლებს, კურატორებს, კურატორის მოადგილეებს, ზედამხედველებს, გიდებს, ასისტენტებს, მატერიალური მიმართულების, ლოჯისტიკის, ექსპოზიციისა და უსაფრთხოების სპეციალისტებს, ხოლო შტატგარეშე პოზიციებიდან მეხანძრეებს, უსაფრთხოების სპეციალისტებს, ტექნიკურ სპეციალისტებს, ადმინისტრატორისა და ტექნიკური მენეჯერის თანაშემწეს, მეთვალყურეებს, მოლარეებს. აღნიშნული მატებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მისაღებად, დირექტორატის თანხმობის შემთხვევაში, ნ. ახალბედაშვილი მიმართავდა სამინისტროს 101 700 ლარის ოდენობით თანხის გამოსაყოფად.

ნ. ჭიპაშვილმა დირექტორატის წევრებს განუცხადა, რომ ისიც გეგმავდა ეთნოგრაფიულ მუზეუმში სარგოების მატებას და მომდევნო დღეებში მიმართავდა დირექტორატს სხდომის მოწვევის შუამდგომლობით. მან ასევე დაამატა, რომ მისი ინფორმაციით, ქარვასლაში არსებული მუზეუმი ავტონომიური უფლებებით უნდა გამოჰყოფოდა ეროვნულ მუზეუმს და მის ახლად დანიშნულ დირექტორს შესაძლებელია ასევე ჰქონოდა სურვილი თანამშრომლებისთვის ხელფასების მატების.

დირექტორატის წევრებმა დაამტკიცეს მუზეუმთა ჯგუფში ხელფასების ზრდა და ახალი საშტატო განრიგი (იხ. დანართი 3-4).

X საკითხი - სსიპ-ის უფროსის მოადგილეების დანიშვნის საკითხის განხილვა 2022 წლის 01 თებერვალს სსიპ-ის დებულებაში შესული ცვლილებების შესაბამისად

ნ. ჭიპაშვილმა მიმართა დირექტორატის წევრებს, რომ მიმდინარე წლის 1 თებერვალს ცვლილება იყო შესული ეროვნული მუზეუმის დებულებაში, რომლის მიხედვითაც, გენერალური დირექტორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა დირექტორატი.

დ. ლორთქიფანიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით იკითხა, თუ რა იგულისხმებოდა ამ ცვლილებით. იგულისხმებოდა ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექტორის მოადგილეები თუ სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილეები, რადგან ის ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექტორთან ერთად იმავდროულად წარმოადგენს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს.

ნ. ახალბედაშვილმა დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დებულებაში ცალსახად ეწერა ის, რომ საქმე ეხებოდა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილეებს. ამასთანავე, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მაკონტროლებელთან შეთანხმებული საშტატო განრიგის მიხედვითაც, დასაქმებულთა ჩამონათვალში ფიქსირდება მხოლოდ გენერალური დირექტორის 2 მოადგილე.

ნ. ჭიპაშვილმა დასძინა, რომ 1 თებერვლის ცვლილებაში კონკრეტულად წერია, რომ ის ეხება სსიპის უფროსის მოადგილეებს და იქვე დაამატა, რომ დათქმულ დროს, დირექტორატის სხდომაზე, ის არსებული მოადგილეების გადანიშვნას არ დაუჭერდა მხარს.

ნ. ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არ მსჯელობდნენ პიროვნებებზე.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილად თვლიდა აღნიშნული საკითხი განხილულიყო შემდეგ სხდომაზე, ასევე დაინტერესდა თუ როგორ მოხდებოდა კანდიდატების შერჩევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, **ნ. ახალბედაშვილმა** განაცხადა, რომ მზად იყო საკითხის დამატებით განხილვაზე, მაგრამ, ვინაიდან დებულებაში შესული ცვლილება დირექტორატს ავალდებულებდა, გადაწყვეტილება მიეღო 45 კალენდარული დღის ვადაში, მოცემულ სხდომაზე აუცილებელი იყო, მიღებულ ყოფილიყო გადაწყვეტილება მოქმედი მოადგილეებისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის შესახებ, რადგან ისინი, შესაძლებელია, გათავისუფლებული ყოფილიყვნენ თანამდებობებიდან დირექტორატის მიერ და მათი შრომითი უფლებები უნდა ყოფილიყო მოცემული შეტყობინების გზით დაცული. რაც შეეხება დირექტორატის მიერ გენერალური დირექტორის მოადგილეების დანიშვნას, დირექტორატის წევრები წამოაყენებდნენ კანდიდატურებს და მათთან გასაუბრების შედეგად დირექტორატის ხმათა უმრავლესობით მოხდებოდა მათი დანიშვნა.

კენჭისყრის შედეგად, დირექტორატის წევრებმა, დ. ლორთქიფანიძის გარდა, მხარი დაუჭირეს გენერალური დირექტორის მოადგილეებისთვის (მ. წერეთელი, ი. ღვალაძე) შეტყობინების წერილის გაგზავნას თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, რომლის <u>**დაუყოვნებლივ აღსრულებაც დაევალა ადამიანური რესურსების სამსახურიდან თ. კოკოჩაშვილს**</u>.

XI საკითხი - ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მიერ, დირექტორატის გვერდის ავლით, შოთა რუსთაველის ფონდში შეტანილი 13 გრანტის საკითხის განხილვა და დირექტორატის მიერ გრანტის თანხების 18 თებერვლამდე გამოთხოვის მიზანშეწონილობის შეფასება სსიპ-ის დებულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად

ნ. ახალბედაშვილის განცხადებით, 2021 წელს, გენერალურმა დირექტორმა, დირექტორატის გვერდის ავლით, გააგზავნა შ. რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდში პროექტები დასაფინანსებლად, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული მუზეუმის დებულებას, ვინაიდან დებულების მიხედვით ეროვნულ მუზეუმს მართავს დირექტორატი. შესაბამისად, გენერალურ დირექტორს აღნიშნული გადაწყვეტილება ერთპიროვნულად, დირექტორატის გვერდის ავლით არ უნდა მიეღო.

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის წევრებს ასევე აცნობა, რომ მიმდინარე წლის 1 თებერვალს ეროვნული მუზეუმის დებულებაში შესული ცვლილებით დამტკიცებული გრანტის გამოთხოვის პროცედურა დამტკიცდა და განისაზღვრა, რომ მხოლოდ დირექტორატია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება დონორისაგან გრანტის თანხის გამოთხოვის შესახებ. მიუხედავად ამ დანაწესისა, გენერალურმა დირექტორმა უხეშად დაარღვია კანონმდებლობა, როდესაც 7 თებერვალს, ანუ მას შემდეგ რაც დებულებაში ზემოაღნიშნული ცვლილება განხორციელდა, მიმართა შოთა რუსთაველის ფონდს გრანტის თანხის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ კატეგორიულად არ ეთანხმებოდა აღნიშნულ მსჯელობას, რადგან გრანტების მოთხოვნა გაიგზავნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დირექტორატი არ არსებობდა. კერძოდ, მარტის თვეში იყო ეს საკითხები სამეცნიერო საბჭოზე განხილული და დამტკიცებული. მან დასძინა რომ სამართლებრივი უზუსტობები არ იყო და ყველაფერი ექცეოდა კანონის ფარგლებში. მან ასევე განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა და არ უჭერდა მხარს გრანტების გაუქმებას, რადგან ეს ნიშნავდა იმას, რომ უქმდებოდა 13 საგრანტო პროექტი, რომელთა მომზადებაზეც დიდი მოცულობის შრომა იყო უკვე გაწეული, რითაც ირღვეოდა მეცნიერთა უფლებები. ის ასევე ვერ ხედავდა პროცედურულ ნაწილში დარღვევებს, რადგან პროექტები სამეცნიერო საბჭოზე დამტკიცებული იყო 12 მარტს, ხოლო ატვირთვა დაიწყო აპრილის თვეში და 25 მაისს დასრულდა შეტანა, მაშინ როდესაც ქ-ნი ნინო ჭიპაშვილი ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული.

ნ. ახალბედაშვილის განცხადებით, მის მიერ შ. რუსთაველის ფონდიდან მოპოვებული ინფორმაციით, ფონდში საგრანტო განაცხადები შესულია 27 მაისიდან 2 ივნისამდე პერიოდში მაშინ, როდესაც

დირექტორატი უკვე იყო აპრილიდან შექმნილი (2021 წლის 19 აპრილის დებულების თანახმად, „ეროვნულ მუზეუმს მართავს დირექტორატი“) და როცა დირექტორატის სამი წევრი სახეზე იყო (დ. ლორთქიფანიძე; ნ. ახალბედაშვილი ხელოვნების მუზეუმში სამინისტროს რწმუნებულად (მმართველად) დანიშნული იყო 2021 წლის 21 აპრილს, ხოლო ამავე მუზეუმის დირექტორად 24 მაისს; ნ. ჭიპაშვილი დირექტორად იქნა დანიშნული 28 მაისს). 2022 წლის 1 თებერვლამდე მოქმედი დებულების მიხედვით კი, დირექტორატის სხდომის მოწვევის ექსკლუზიური უფლებამოსილება ჰქონდა გენერალურ დირექტორს. შესაბამისად, გამოდიოდა რომ პროცედურების დარღვევითა და დირექტორატისთვის მრავალი თვის მანძილზე დამალვის გზით მოხდა გრანტების პროცედურების წარმოება, ისევე, როგორც თავის დროზე, დირექტორატის წევრებისაგან დაიმალა სახელმწიფო აუდიტის დასკვნის პროექტი და ამ უკანასკნელს, 2021 წლის ბოლოს, დირექტორატის წევრების ჩართულობის გარეშე გაეცა შესაგებელი პასუხი. ამის გამო, დირექტორატის წევრებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი ცალკე მიმართვა დასჭირდათ საკუთარი პოზიციის მისაწოდებლად.

ნ. ახალბედაშვილმა იქვე დასძინა, რომ გრანტის განაცხადების შეტანა თავიდან არავის არ ეკრძალებოდა, მაგრამ პროცედურა უნდა ყოფილიყო დაცული. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ზოგიერთი, მის ზურგს უკან შემუშავებული საგრანტო პროექტი ითვალისწინებდა იმ ფონდებში კვლევას, რომლებიც მისდამი დაქვემდებარებულ მუზეუმთა ჯგუფს განეკუთვნებოდა.

შესაბამისად, ნ. ახალბედაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, დაშვებული პროცედურული დარღვევების გამო და იმის გამო, რომ მან და მისმა კოლეგებმა შემთხვევით, 2022 წლის თებერვალში შეიტყვეს, რომ საგრანტო პროცედურები მრავალი თვის მანძილზე მიმდინარეობდა და დირექტორატი არ ფლობდა ინფორმაციას გრანტებით გათვალისწინებული კვლევების შინაარსის შესახებ, 13 გრანტის გამოთხოვის თაობაზე მოცემულ ეტაპზე არ გაგზავნილიყო მიმართვა შ. რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდში.

დირექტორატის წევრებმა, დ. ლორთქიფანიძის გარდა, მხარი დაუჭირეს გრანტების საკითხთან დაკავშირებული პრობლების ამგვარად გადაწყვეტას.

XII საკითხი - ყოფილი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შენობის ხელოვნების მუზეუმისათვის გადმოცემის საკითხის განხილვა

ნ. ახალბედაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის 80-იანი წლების შენობაში დაწყებულია სარემონტო სამუშაოები პირველ და 0 სართულებზე და დაგეგმილია წლის ბოლომდე დანარჩენი სართულების გარემონტება, მუზეუმს სასწრაფო წესით ესაჭიროება დროებით სარგებლობაში გადმოეცეს ყოფილი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შენობის კორპუსის პირველი ოთხი სართული (არქეოლოგების სართულამდე), სადაც დროებით განთავსდება მუზეუმთა ჯგუფის ფონდებში არსებული კოლექციები, 80-იანი წლების შენობის რემონტის დასრულებამდე.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, იშლებოდა ზოოლოგიის გამოფენა, შეიძლება დაზიანებულიყო ზოოლოგიის ფონდები/კოლექციები და შესაბამისად კორპუსის დაცლა იყო წარმოუდგენელი და ის ამას არ გააკეთებდა.

ნ. ახალბედაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის უცნაური იყო გენერალური დირექტორის პოზიცია, ვინაიდან ის თავის საჯარო განცხადებებში, მათ შორის, საახალწლო მილოცვაში, გამოთქვამდა მზაობას და შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენის პროცესს აღიარებდა პრიორიტეტულად, მაგრამ მაშინ, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ის არ დგებოდა იმ მხარეს, სადაც უნდა მდგარიყო.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მას სჭირდებოდა დეტალური გაანგარიშება, კონკრეტულად რა ფართი სჭირდებოდა ნ. ახალბედაშვილს კოლექციების გადასატანად, რატომ არ ჰყოფნიდა ე.წ.

სასტუმროს შენობა ამისთვის და კიდევ ერთხელ დააფიქსირა კატეგორიული წინააღმდეგობა მსგავს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ 1 მაისამდე დროებით დაცლილიყო კორპუსი ხელოვნების მუზეუმის აღდგენის მიზნებიდან გამომდინარე.

დ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაშიც, ის არ შეასრულებდა დირექტორატის გადაწყვეტილებას.

ნ. ახალბედაშვილმა დ. ლორთქიფანიძეს განუმარტა, რომ დირექტორატის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა დირექტორატის წევრებისათვის.

დირექტორატის წევრებმა, დ. ლორთქიფანიძის გარდა, მხარი დაუჭირეს მეგობრობის კორპუსის პირველიდან მეოთხე სართულებამდე არსებული ფართის დროებით ხელოვნების მუზეუმის სარგებლობაში გადაცემას. შესრულებაზე **პასუხისმგებელ პირად** განისაზღვრა **დ. ლორთქიფანიძე**.

XIII საკითხი - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის განხილვა

ნ. ჭიპაშვილმა დირექტორატის წევრებს განუცხადა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეროვნული მუზეუმის 2018-2020 წწ. საქმიანობაში მძიმე დარღვევები გამოავლინა და დირექტორატის წევრებს განუცხადა, რომ აუდიტის დასკვნის რეკომენდაციების შესრულება სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მომხდარიყო.

დირექტორატის წევრებმა ცნობად მიიღეს ნ. ჭიპაშვილის მიერ დაყენებული საკითხი.

XIV საკითხი - ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მანქანის გამოყოფის თაობაზე.

ნ. ახალბედაშვილმა დირექტორატის წევრებს მიმართა, რომ ვინაიდან ეთნოგრაფიულ მუზეუმში არ დადიოდა საქალაქო ტრანსპორტი და დირექტორი მას შემდეგაც რჩებოდა სამსახურში, რაც ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ავტობუსი ტოვებდა მუზეუმს (სამუშაო დღის 18:00 საათი), ის მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ მისი კოლეგისთვის გამოყოფილიყო ავტომობილი და მძღოლი.

დირექტორატის წევრებმა მხარი დაუჭირეს მოცემულ საკითხს და მის შესრულებაზე **პასუხისმგებელ პირად** განსაზღვრეს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი **ზაზა მესხი**.

დირექტორატის წევრებმა გადაწყვიტეს:

- დამტკიცდეს ხატია ღიბრაძის კანდიდატურა სხდომის მდივნად (მიღებულია ერთხმად);
- სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის ტექნიკურად გასამართად და მესტიის მუზეუმისა და სხვა ზონების უსაფრთხოების სისტემების გასამართად მესტიაში გაემგზავროს სამუშაო ჯგუფი (მიღებულია ერთხმად);
- დატკიცდეს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგი (მიღებულია ერთხმად);
- დაევალოს საფინანსო სამსახურს ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტის ცვლილების მომზადება და წარდგენა სამინისტროში იმ მიზნით, რომ წინამდებარე ოქმში მითითებული დაფინანსების წყაროებიდან და მასში მითითებული მიზნებისათვის, სვანეთის მუზეუმის ქვეპროგრამაში

გადატანილ იქნეს 59 520 ლარი და სპორტის მუზეუმის ქვეპროგრამაში 14 480 ლარი (მიღებულია ერთხმად);

- ნება დაერთოს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმს, განახორციელოს სარემონტო სამუშაოები შენობის შესასვლელში სალაროს განთავსების მიზნით, რისთვისაც ზ. კვიციანმა წარმოადგინოს სარემონტო სამუშაოების შესაბამისი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (მიღებულია ერთხმად);
- გამოიყოს და მივლინებულ იქნეს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმიდან სამუშაო ჯგუფი სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების ინვენტარიზაციის ხელშეწყობის მიზნით (მიღებულია ერთხმად);
- დაევალოს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმს, მუზეუმის საწყობში არსებული წიგნების ეგზემპლარების მიწოდება სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიბლიოთეკისთვის, გამრავალფეროვნების მიზნით (მიღებულია ერთხმად);
- დაევალოს საფინანსო სამსახურს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საწვავის ლიმიტების ცვლილება. ლიმიტი განისაზღვროს 200 ლიტრის ოდენობით (მიღებულია ერთხმად);
- დამტკიცდეს მუზეუმთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგი (მიღებულია ერთხმად);
- დაევალოს საფინანსო სამსახურს, შესაბამის დროს, ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტის ცვლილების მომზადება და სსიპ-ის პირველი კვარტლის ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიები მიიმართოს მუზეუმთა ჯგუფის ინფრასტრუქტურული საჭიროებებისათვის (მიღებულია ერთხმად);
- დაევალოს ეროვნული მუზეუმის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილეებისთვის შეტყობინების დაუყოვნებლივ გაგზავნა მათ შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებით (მიღებულია 4 ხმით ერთის წინააღმდეგ);
- ეცნობოს შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდს იმის შესახებ, რომ სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის გამოყოფილი 13 გრანტის გამოთხოვა ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ ჩაითვალა (მიღებულია 4 ხმით ერთის წინააღმდეგ);
- გადაეცეს მუზეუმთა ჯგუფს ყოფილი ხალხთა მეგობრობის მუზეუმის შენობა დროებით სარგებლობაში, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის აღდგენის პროცესის ხელშესაწყობად (მიღებულია 4 ხმით ერთის წინააღმდეგ);
- გამოიყოს ავტომობილი და მძღოლი ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხელშეწყობის მიზნით (მიღებულია ერთხმად).

დირექტორატის წევრები

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი — დავით ლორთქიფანიძე

მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი — ნიკა ახალბედაშვილი

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს
ხალხური ხუროთმოღვრეებისა და ყოფის
მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი

ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი ნინო სალუქვაძე

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის
დირექტორი ზვიად კვიციანი

დანართი 1

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

№		რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე	თანამდებობრივი სარგო თვეში			სულ თანამდებობ-რივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
				სულ	**მ.შ საბიუჯეტო სახსრები**	**მ.შ საკუთარი სახსრები**		
	სულ	**34**			**309.360.0**		**309,360.0**	309,360.0
1	დირექტორი, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი	1	1900	1,900.0	1,900.0		22,800.0	309,360.0
2	დირექტორის მოადგილე,ხელნაწერთა ფონდის კურატორი	1	1300	1,300.0	1,300.0		15,600.0	
3	ჯგუფის უფროსი	1	1000	1,000.0	1,000.0		12,000.0	
4	სამენიერო სექტორის ხელმძღვანელი	1	1300	1,300.0	1,300.0		15,600.0	
5	მედია და საზოგადოებასთან ურთიერთიერთობის სამსახური	1	810	810.0	810.0		9,720.0	
6	ასისტენტ კურატორი	2	720	1,440.0	1,440.0		17,280.0	
7	უსაფრთხოების ოფიცერი	1	950	950.0	950.0		11,400.0	
8	გიდი პედაგოგი	8	650	5,200.0	5,200.0		62,400.0	
9	ზედამხედველი	7	600	4,200.0	4,200.0		50,400.0	
10	კურატორი	3	700	2,100.0	2,100.0		25,200.0	
11	მეცნიერ-თანამშრომელი	2	700	1,400.0	1,400.0		16,800.0	
12	გიდი-პედაგოგი, საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი	1	700	700.0	700.0		8,400.0	
13	რესტავრატორი	1	800	800.0	800.0		9,600.0	
14	უფროსი სპეციალისტი	1	720	720.0	720.0		8,640.0	
15	სპეციალისტი	2	700	1,400.0	1,400.0		16,800.0	
16	ასისტენტი (ბიბლიოთეკარი)	1	560	560.0	560.0		6,720.0	

დანართი 2

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის-ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა

№	შტატგარეშე თანამშრომელი	სულ	ანაზღაურება თვეში	ანაზღაურება თვეში			სულ ანაზღაურება წელიწადში საბიუჯეტო	სულ ანაზღაურება წელიწადში საკუთარი	სულ
				სულ	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ საკუთარი სახსრები			
	სულ	19		8,480.0	1,620.0	6,860.0	19,440.0	82,320.0	101,760.0
1	კურატორის თანაშემწე	9	340	3,060.0		3,060.0	0.0	36,720.0	
2	კონსულტანტი	1	460	460.0	460.0		5,520.0	0.0	
3	დამლაგებელი	3	460	1,380.0		1,380.0	0.0	16,560.0	
4	მეეზოვე	1	460	460.0	460.0		5,520.0	0.0	
5	მექანიკოსი	1	700	700.0	700.0		8,400.0	0.0	
6	ელექტრიკი	1	520	520.0		520.0	0.0	6,240.0	
7	მოლარე	2	650	1,300.0		1,300.0	0.0	15,600.0	
8	იურისტი	1	600	600.0		600.0	0.0	7,200.0	
				0.0		0.0	0.0	0.0	

დანართი 3

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის საშტატო განრიგი

პოზიციის დასახელება	შტატი	თანამდებო ბრივი სარგო	სულ წლიური ფონდი
ხელმძღვანელობა			
დირექტორი	1	1900	1900.00
დირექტორის მოადგილე	1	2500	2500.00
დირექტორის მოადგილე, ოქროს ფონდის კურატორი	1	2500	2500.00
ადმინისტრაცია			0.00
განყოფილების უფროსი	1	2800	2800.00
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1	1200	1200.00
ლოჯისტიკის სპეციალისტი	1	1250	1250.00
მატერიალური მიმართულების სპეციალისტი	1	1000	1000.00
იურისტი	1	1300	1300.00
მარკეტინგის სპეციალისტი	1	1300	1300.00
შესყიდვების სპეციალისტი	1	1100	1100.00
ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	1	1100	1100.00
საქმის წარმოების სპეციალისტი	1	1000	1000.00
IT სპეციალისტი	1	1180	1180.00
სარესტავრაციო განყოფილება			0.00
განყოფილების უფროსი	1	1600	1600.00
რესტავრატორი	21	800	16800.00
ასისტენტ რესტავრატორი	1	700	700.00
საგამოფენო განყოფილება			0.00
განყოფილების უფროსი	1	1600	1600.00
სივრცის მთავარი კურატორი	2	950	1900.00
უფროსი ასისტენტი	2	750	1500.00
უსაფრთხოების სპეციალისტი	1	1200	1200.00
ზედამხედველი	19	600	11400.00
ექსპოზიციის სპეციალისტი	3	800	2400.00
სამეცნიერო საგანმანათლებლო განყოფილება			0.00
განყოფილების უფროსი	1	1600	1600.00

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი	2	950	1900.00
მეცნიერ თანამშრომელი	6	800	4800.00
სივრცის მთავარი კურატორი	1	950	950.00
სივრცის უფროსი კურატორი	1	800	800.00
უფროსი ასისტენტი	2	750	1500.00
რედაქტორი	1	800	800.00
სივრცის კურატორი	2	700	1400.00
გიდი-პედაგოგი	3	600	1800.00
დაცვა- აღრიცხვის განყოფილება			0.00
განყოფილების უფროსი	1	1600	1600.00
მთ. სპეციალისტი	3	800	2400.00
კონსულტანტი	3	250.00	750.00
ფონდები			0.00
კურატორი	6	950.00	5700.00
კურატორი	1	850.00	850.00
კურატორის მოადგილე	10	850.00	8500.00
უფროსი ასისტენტი	5	750.00	3750.00
ასისტენტი	5	700.00	3500.00
საქართველოს ეროვნული გალერეა			0.00
კურატორის მოადგილე	6	850.00	5100.00
უფროსი ასისტენტი	9	750.00	6750.00
ასისტენტი	2	650.00	1300.00
სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი			0.00
ადმინისტრატორი	1	1600.00	1600.00
კურატორის მოადგილე	2	800.00	1600.00
ასისტენტი	3	700.00	2100.00
კურატორი	1	850.00	850.00
ზედამხედველი	3	600	1800.00
გიდი-პედაგოგი	2	600	1200.00
	146	**51230.00**	**124130.00**

დანართი 4

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა 2022 წელი

№	შტატგარეშე თანამშრომელი	სულ	ანაზღაურება თვეში
	სულ	49	29,585.0
1	იურისტი	1	1250
2	მეხანძრე	1	500
3	მეხანძრე	1	500
4	მეხანძრე	1	500
5	დამლაგებელი	1	240
6	დამლაგებელი	1	240
7	დარაჯი	1	180
8	დარაჯი	1	180
9	დარაჯი	1	180
10	კურატორის თანაშემწე	1	420
11	კურატორის თანაშემწე	1	420
12	დიზაინერი	1	700
13	რესტავრატორი	1	450
14	უსაფრთხოების სპეციალისტი	1	600
15	უსაფრთხოების სპეციალისტი	1	600
16	უსაფრთხოების სპეციალისტი	1	600
17	რესტავრატორი	1	450
18	დამლაგებელი	1	350
19	ზედამხედველი	1	700
20	მეთვალყურე	1	600
21	მეთვალყურე	1	600
22	მეთვალყურე	1	600
23	მეთვალყურე	1	600
24	მეთვალყურე	1	400
25	ტექნიკური სპეციალისტი	1	1000
26	ტექნიკური სპეციალისტი	1	800
27	ტექნიკური სპეციალისტი	1	500
28	ტექნიკური სპეციალისტი	1	500
29	მღებავი	1	675
30	ასისტენტი	1	600

31	ადმინისტრატორის თანაშემწე	1	600
32	ტექ. მენეჯერის თანაშემწე	1	500
33	მეთვალყურე	1	600
34	ელექტრო ინჟინერი	1	700
35	ტექნიკური სპეციალისტი	1	875
36	ტექნიკური სპეციალისტი	1	875
37	ტექნიკური სპეციალისტი	1	700
38	მოლარე	1	700
39	მოლარე	1	700
40	მოლარე	1	700
41	მოლარე	1	700
42	ელექტრიკი	1	600
43	დურგალი	1	700
44	ფოტოგრაფი	1	600
45	ფოტოგრაფი	1	700
46	ფოტოგრაფი	1	600
47	ელექტრიკი	1	500
48	ტექნიკური ზედამხედველი	1	2000
49	ასოცირებული მეცნიერი	1	300